# საქართველოს მთავრობის
# დადგენილება

№715 2020 წლის 27 ნოემბერი ქ. თბილისი

**„იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

**მუხლი 1.** „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/05/2020, 470230000.10.003.022034) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“:

1. $16^3$ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები ამოღებულ იქნეს.

2. $16^3$ მუხლი ამოღებულ იქნეს.

3. მე-17 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის №670 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2020 წლის სახელმწიფო პროგრამის“ არსებული „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის“, „ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამის“, „დღის ცენტრებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“, „განვითარების მძიმე და ღრმა შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლით უზრუნველყოფის ქვეპროგრამისა“ და „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ მხოლოდ დღის ცენტრების კომპონენტის ფარგლებში არსებულ მომსახურებებში ბენეფიციარების ან/და დასაქმებული პერსონალის საერთო რაოდენობის 60%-ზე მეტის დაუსწრებლობის შემთხვევაში, მომსახურებას შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება მომსახურების შეჩერების შესახებ, რომელსაც წერილობით აცნობებს სამინისტროს ან/და სსიპ – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს.“.

**4. მე-19 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 19. სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობა**

1. სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოში შესულ განცხადებებზე არა უმეტეს 30 კალენდარული დღით გაგრძელდეს „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის $11^{7}$ და $11^{8}$ მუხლებით, $11^{11}$ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით, მე-9 და მე-10 პუნქტებით (მათ შორის, ფარმაცევტული პროდუქტის, სტომატოლოგიური მასალისა და სადიაგნოსტიკო საშუალებების რეგისტრაციისათვის) განსაზღვრული ვადის დინება.

2. სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოში შესული ფარმაცევტულ საქმიანობასთან დაკავშირებული ზოგადი კორესპონდენციის განხილვის ვადად განისაზღვროს არა უმეტეს ორი თვე.

3. სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოში შესული ფარმაკოლოგიური საშუალების კლინიკური კვლევის ნებართვის, ავტორიზებული აფთიაქის ნებართვის, ფარმაცევტული წარმოების ნებართვის განცხადებებზე 30 კალენდარული დღით გაგრძელდეს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 26-ე მუხლით განსაზღვრული ვადის დინება.".

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და ამ დადგენილების პირველი მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების მოქმედება გავრცელდეს 2020 წლის 29 ოქტომბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე, ხოლო მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დებულებები გავრცელდეს სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს წარმოებაში არსებულ ყველა დოკუმენტზე, მათი წარდგენის ვადის მიუხედავად.

**პრემიერ-მინისტრი** **გიორგი გახარია**